

მეტყველების სინთეზის სისტემის ტექნიკური პარამეტრები

სისტემამ უნდა განახორციელოს მეტყველების ხარისხიანი სინთეზი და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ცალკეული ტექსტების გახმოვანების პროგრამისათვის, ასევე ხმოვანი სინთეზის განსახორციელებლად სხვადასხვა პროგრამებისთვის ან სხვადასხვა საინფორმაციო სისტემებში ინტეგრაციისთვის.

მეტყველების სინთეზის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მახასიათებლებს:

1. ელექტრონული ინფორმაციის ხარისხიან სინთეზირებული ხმით გახმოვანებას, რომელიც მიახლოებულია ადამიანის რეალურ ხმასთან.
2. სისტემა უნდა ახორციელებდეს Windows 98, ME, NT, 2000, XP, 2003, Vista, 7-ს მხარდაჭერას და ასევე ადვილად უნდა შეიძლებოდეს სხვა ნებისმიერ პროგრამულ პლატფორმაზე გადატანა.
3. ტექსტების წასაკითხად გამოიყენება ტექსტების სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის უნიკალური მოდელი, რაც ხელს უწყობს საკუთარი სახელების, რიცხვითი სახელების და შემოკლებების სწორ წარმოთქმას.
4. იძლევა ხმოვანი კონფიგურაციის ფართო საშუალებებს - ინტონაციების პარამეტრები, მეტყველების რითმი, ტონალობის სიმაღლე და სიჩქარე, ფილტრების და პაუზების სხვადასხვა სახეები.
5. სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს SAPI Speech Tags-ის სრულ მხარდაჭერას (მთლიანი თავსებადობა SAPI 4 და SAPI 5.1-სთვის.), სემანტიკური შენიშვნების დანამატებით ტეგებს, რომ გაუმჯობესდეს სინთეზირებული მეტყველების გახმოვანება. ტეგების საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს მახვილის დასმა, ტექსტის ფორმატირება (თარიღი, დრო, მისამართი, URL, მეილი, ტელეფონი, აბრევიატურა და ა.შ.) განხორციელების (ხმა, სიჩქარე, ინტონაცია) და სხვა პარამეტრების მინიჭება. ლინგვისტური ანალიზის მოდული შეიძლება იყოს გაფართოვებული ტექსტის დამუშავების პლაგინების ხარჯზე.
6. ხმის ფორმატი: ძირითადი - PCM, 22 კილო ჰერცი, 16 ბიტი, მონო, შესაძლებელია სხვადასხვა ნებისმიერ ფორმატს ხარისხიანი კოდირება ტელეფონის ხაზების ფორმატის ჩათვლით - მინიმუმ 8 კილო ჰერცი, 16 ბიტი, მონო.
7. სინთეზატორის მოდულის სტრუქტურა საშუალებას უნდა იძლეოდეს ცვლილებები შევიტანოთ ან გავაუმჯობესოთ ძირითად კოდთან შეხების გარეშე. ეს მომხმარებელს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად მოარგოს სისტემა ინდივიდუალურ სპეციფიკურ მოთხოვნილებებს.
8. ხმის სინთეზატორი უნდა უზრუნველყოფდეს „კლიენტი-სერვის“ არქიტექტურის მხარდაჭერას, რომელიც იძლევა საშუალებას გამოვიყენოთ იგი სინთეზირებული მეტყველების შემცველ ნებისმიერ პროგრამაში დამატებითი ხარჯის და ინტეგრაციის გარეშე.
9. პროგრამაში არსებული ხმის გარდა შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი ინდივიდუალური ხმოვანი მოდელის შექმნა.